საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
MINISTRY OF ENVIRONMENT PROTECTION AND AGRICULTURE OF GEORGIA

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო
LEPL NATIONAL ENVIRONMENTAL AGENCY

0112, საქართველო, თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზ. 150
150 D. Agmashenebeli ave. 0112, Tbilisi, Georgia

TEL: +995 32 2439503 FAX: +995 32 2439502
E-mail: info@nea.gov.ge Web: www.nea.gov.ge

N 21/6429
27/10/2022

6429-21-2-202210271643

შპს „ქვიშა ბათუმს"
მის: ქ. ბათუმი, სელიმ ხიმშიაშვილის ქ. № 94, ბ. 39
ელ. ფოსტა: qvishabatumi@gmail.com

სააგენტომ განიხილა თქვენ მიერ 2022 წლის 19 ოქტომბერს გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების მიზნით წარმოდგენილი N5715 განცხადება, რომელიც ეხება შპს „ქვიშა ბათუმის" სასარგებლო წიაღისეულის (ქვა-ღორღის) გადამამუშავებელი საწარმოს. გაცნობებთ, რომ გზშ-ის ანგარიშსა და თანდართულ დოკუმენტაციაში არ არის მოცემული და დაზუსტებას საჭიროებს საქმიანობასთან დაკავშირებული შემდეგი საკითხები:

- გზშ-ის ანგარიშში წარმოდგენილი საპროექტო ტერიტორიის ნახაზი 4.1.1.1. (დაგეგმილი საქმიანობის განხორციელების ადგილის აგეგმვითი/აზომვითი ნახაზი) და Shp ფაილები, მთლიანად მოიცავს 05.35.28.246 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთს, სადაც განთავსებულია სხვა საწარმოო ობიექტებიც. საპროექტო ტერიტორიის კონტური მთლიანი ნახაზისგან გამოყოფილია მკრთალი ხაზით, ხოლო Shp ფაილში წერტილოვანი ფენით, თუმცა არ ირკვევა შესაბამისი აღნიშვნებით (მაგ: პირობითი ნიშნით) საპროექტო ტერიტორიის კონტური. შესაბამისად კორექტირებას საჭიროებს როგორც გზშ-ის ანგარიშში წარმოდგენილი ნახაზი 4.1.1.1, ასევე Shp ფაილები. გზშ-ის ანგარიშს თან უნდა დაერთოს საპროექტო/საწარმოო ტერიტორიის შესაბამისი Shp ფაილი;
- როგორც გზშ-ის ანგარიშში წარმოდგენილი ფოტომასალიდან, ასევე ორთოფოტოს მიხედვით ირკვევა, გზშ-ის ანგარიშში წარმოდგენილი გენერალური გეგმა არ შეესაბამება საპროექტო ტერიტორიის კონტურს, ასევე გენერალურ გეგმაზე დატანილი ინფრასტრუქტურული ობიექტების და დანადგარების განთავსება/მდებარეობა და მასშტაბები (მაგ: შენობა-ნაგებობა, სალექარი და ა.შ.) არ შეესაბამება საპროექტო ტერიტორიაზე არსებულ მდგომარეობას, შესაბამისად აღნიშნული საკითხი საჭიროებს კორექტირებას.

აღნიშნულიდან გამომდინარე, სააგენტო კანონმდებლობის შესაბამისად გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემის მიზნით ადმინისტრაციულ წარმოებას დაიწყებს ზემოაღნიშნული შენიშვნების გათვალისწინებით გადამუშავებული და „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით“ დადგენილი სრულყოფილი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემდეგ.

თამარ ფიცხელაური

სააგენტოს უფროსი

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო